კითხვის კონცეფცია PISA-ში

თანამედროვე, სწრაფად ცვალებად სამყაროში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის კითხვის და, ზოგადად, ინფორმაციასთან მუშაობის პრაქტიკა. ინფორმაციის დამახსოვრებაზე მეტად მნიშვნელოვანი ხდება ინფორმაციის მოძიება, სინთეზი და კომუნიკაცია. ასევე, მნიშვნელოვანია ციფრულ ტექნოლოგიებთან, ისევე როგორც მრავალფეროვან და მოცულობით ტექსტურ მასალასთან ეფექტურად მუშაობის უნარები.

PISA-ს კონცეპტუალური ჩარჩოს მიხედვით, კითხვის კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც **ტექსტის გაგება, გამოყენება და გააზრება დასახული მიზნ(ებ)ის მისაღწევად, საკუთარი ცოდნისა და პოტენციალის განსავითარებლად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.“**

PISA-ში ჰოლისტურად ფასდება კითხვასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი. კერძოდ, შეფასების საგანია კითხვასთან დაკავშირებული კოგნიტური პროცესები. ასევე, მხედველობაში მიიღება ტექსტის მახასიათებლები და ის კონტექსტები, რომლებშიც მოსწავლეს უწევს კითხვის კომპეტენციის დემონსტრირება.

PISA 2025-ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შეფასების ჩარჩო

კონტექსტი	‣ პირადი ‣ სამუშაო / პროფესიული ‣ საზოგადოებრივი ‣ სამეცნიერო

კითხვასთან დაკავშირებული პროცესები:

გაწაფული კითხვა (Reading fluently)

ინფორმაციის მოძიება (Locating information):

- ინფორმაციის ამოცნობა და ამოღება ტექსტიდან
- შესაბამისი ტექსტის შერჩევა

გაგება/გააზრება (Understanding)

- პირდაპირი მნიშვნელობის აღქმა
- ინტეგრაცია და დასკვნების გამოტანა

შეფასება და რეფლექსია (Evaluating and reflecting):

- ხარისხისა და სანდოობის შეფასება
- შინაარსისა და ფორმის გააზრება
- კონფლიქტური ინფორმაციის ამოცნობა და დამუშავება

ამოცანების მართვა (Task Management)

- **მიზნისა და გეგმის დასახვა**
- **მონიტორინგი და რეგულირება**

კითხვასთან დაკავშირებული პროცესები:

PISA კითხვის სფეროში ოთხ ძირითად პროცესზე ამახვილებს ყურადღებას. კითხვის ტესტის თითოეული დავალება ფოკუსირებულია სულ მცირე ერთ პროცესზე.

- **გაწაფული კითხვა** (Reading fluently): PISA-ს კონცეფციის თანახმად გაწაფული კითხვა ე. წ. საბაზო პროცესად მოიაზრება. გაწაფული კითხვა გულისხმობს სიტყვებისა და ტექსტის ზუსტ, ავტომატურ და ეფექტიან დამუშავებას. იგი ათავისუფლებს კოგნიტურ რესურსებს უფრო მაღალი დონის კოგნიტური პროცესებისათვის.

- **ინფორმაციის მოძიება** (Locating information): კომპეტენტური მკითხველი სწრაფად და ეფექტიანად მოიპოვებს საჭირო და რელევანტურ ინფორმაციას. ამ პროცესის შემადგენელი ქვეპროცესებია: ა) ინფორმაციის ამოცნობა და ამოღება ტექსტიდან – მკითხველი აანალიზებს ტექსტის სტრუქტურას – სათაურებს, აბზაცებს და შინაგან ლოგიკას საჭირო ინფორმაციის მოძიების დასაჩქარებლად; ბ) შესაბამისი ტექსტის შერჩევა – მკითხველი ახორციელებს ძიებას ერთდროულად რამდენიმე ტექსტში და გამოაქვს დასკვნები მათი შედარებითი რელევანტურობისა და სანდოობის შესახებ.

- **გაგება/გააზრება** (Understanding): კითხვა გულისხმობს ტექსტის მნიშვნელობის მენტალური მოდელის შექმნას, რომელიც გულისხმობს როგორც ტექსტის ცხადად გამოხატული, პირდაპირი მნიშვნელობის გაგებას, ისე ფარული შინაარსის გამოტანას ლოგიკური დასკვნების საფუძველზე. ამ პროცესის შემადგენელი ქვეპროცესებია: ა) პირდაპირი მნიშვნელობის აღქმა – მკითხველი იაზრებს წინადადებებსა და პასაჟებში გამოთქმულ პირდაპირ აზრს, ამოიცნობს ძირითად დეტალებს და ახდენს პარაფრაზირებას; ბ) ინტეგრაცია და დასკვნების გამოტანა – მკითხველი აკავშირებს ტექსტის სხვადასხვა ნაწილს და ამ პროცესში წინარე ცოდნასა და გამოცდილებასაც იყენებს.

- **შეფასება და რეფლექსია** (Evaluating and reflecting)**:** კომპეტენტური მკითხველი კრიტიკულად აფასებს ტექსტის ხარისხს, სანდოობასა და ლოგიკურობას. ამ პროცესის შემადგენელი ქვეპროცესებია: ა) ხარისხისა და სანდოობის შეფასება – მკითხველი აანალიზებს ინფორმაციის სისწორეს, ობიექტურობასა და მიკერძოებულობას, ითვალისწინებს ავტორის კომპეტენციას და განზრახვას; ბ) შინაარსისა და ფორმის გააზრება – მკითხველი აანალიზებს ტექსტის სტილს, სტრუქტურასა და მიზანს და ამ პროცესში პირად ცოდნასა და შეხედულებებსაც იყენებს; გ) კონფლიქტური ინფორმაციის ამოცნობა და დამუშავება – ურთიერთსაწინააღმდეგო ტექსტებთან მუშაობის შემთხვევაში მკითხველი ერთმანეთს უპირისპირებს წყაროებს და არგუმენტებს, რათა ეფექტურად გადაჭრას შეუსაბამობები და ტექსტებში არსებული წინააღმდეგობები.

ამოცანების მართვის პროცესები:

ყოველდღიურ სიტუაციაში, მკითხველი ტექსტებს სხვადასხვა მიზნით კითხულობს. PISA-ს შემთხვევაში ეს მიზნები ფორმულირებულია დავალების (ამოცანას) მითითებების სახით. **წიგნიერება** (ამ ჩარჩოს მიხედვით) მოიცავს ინდივიდის უნარს ზუსტად გაიაზროს, თუ რას მოითხოვს კონკრეტული ამოცანა, დაისახოს ამ ამოცანის გადაჭრის სტრატეგია/ნაბიჯები (კითხვის მიმართულებით), აკონტროლოს ამ მიზნების მიღწევის პროგრესი და მთელი აქტივობის განმავლობაში თავად არეგულიროს მიზნები და მიღწევის სტრატეგიები. ამოცანაზე ორიენტირებული მიზნები მკითხველს უბიძგებს, მოიძიოს დავალების შესაბამისი ტექსტები ან ტექსტის მონაკვეთები, ან ორივე ერთად. დაბოლოს, მონიტორინგის (მეტაკოგნიტური) პროცესები კი კითხვის მთელი აქტივობის განმავლობაში მიზნების განახლების შესაძლებლობას იძლევა. ამოცანის მართვა ტექსტის დამუშავების განსხვავებულ, მეტაკოგნიტურ დონეს წარმოადგენს.

აღსანიშნავია. რომ PISA-ს **კითხვის წიგნიერების** შეფასება მხოლოდ იმ მიზნებს ითვალისწინებს, რომლებსაც მკითხველი კონკრეტული დავალების შესასრულებლად გარედან მიღებული მითითებების საფუძველზე აყალიბებს.

ტექსტის მახასიათებლები:

PISA ყურადღებას ამახვილებს ტექსტის ოთხ მახასიათებელზე. ეს მახასიათებლებია: წყარო, ორგანიზების და ნავიგაციის სტრუქტურა, ფორმატი და ტიპი.

- **წყარო:** ეს მახასიათებელი ასახავს ინფორმაციის წყაროების სიმრავლეს და კომპლექსურობას. ერთწყაროიანი ტექსტები ეკუთვნის ერთ ავტორს ან ავტორთა ჯგუფს და ეყრდნობა ერთ პერსპექტივას (მაგალითად, ამონარიდი წიგნიდან). მრავალწყაროიანი ტექსტები აერთიანებს სხვადასხვა პერსპექტივას და წყაროს (მაგალითად, სადისკუსიო ფორუმები ან მომხმარებელთა კომენტარები).

- **ორგანიზების და ნავიგაციის სტრუქტურა:** ეს მახასიათებელი ასახავს, თუ როგორ არის ორგანიზებული ტექსტი და როგორ ურთიერთქმედებს მასთან მკითხველი. სტატიკურ ტექსტს მარტივი, სწორხაზოვანი სტრუქტურა აქვს (მაგალითად, ბეჭდური წიგნი ან ტრადიციული სტატია, რომელიც მკითხველისგან მინიმალურ ნავიგაციას მოითხოვს). დინამიკური ტექსტები, ძირითადად, ციფრულ გარემოში გვხვდება და შეიცავს ჰიპერბმულებს, მენიუებსა და ინტერაქტიულ ელემენტებს.

- **ფორმატი:** ეს მახასიათებელი ტექსტებს შინაგანი ლოგიკისა და სტრუქტურის მიხედვით აჯგუფებს. უწყვეტი ტექსტები შედგება თანმიმდევრულად, იერარქიულად აწყობილი წინადადებებისა და აბზაცებისგან (მაგალითად, ესე, ანგარიში). „წყვეტილი“ ტექსტები მოიცავს მატრიცულად დაკავშირებულ ელემენტებს (მაგალითად, სია, ცხრილი, გრაფიკი ან დიაგრამა), რაც კითხვის განსხვავებულ სტრატეგიას მოითხოვს. შერეული ტექსტები აერთიანებს ორივე ფორმატს (მაგალითად, დიაგრამა თანმხლები განმარტებით).

- **ტიპი (აღწერითი, თხრობითი, განმარტებითი, არგუმენტირებული, ინსტრუქციული, ინტერაქციული და ტრანზაქციული):** ეს მახასიათებელი ტექსტებს საკომუნიკაციო მიზნების მიხედვით განასხვავებს. აღწერითი ტექსტი დეტალურად აღწერს ობიექტებს, ადგილებს ან მოვლენებს; თხრობითი ტექსტი თანმიმდევრულად გადმოსცემს ამბავს (მაგალითად, მოთხრობა); განმარტებითი ტექსტი სისტემურად ხსნის ფაქტებსა და იდეებს (მაგალითად, სახელმძღვანელო); არგუმენტირებული ტექსტი წარმოადგენს და ამყარებს გარკვეულ შეხედულებებს; ინსტრუქციული ტექსტი მკითხველს ნაბიჯ-ნაბიჯ აწვდის მითითებებს, ინტერაქციული და ტრანზაქციული ტექსტები კი ხელს უწყობს კომუნიკაციასა და ინფორმაციის გაცვლას (მაგალითად, სარეკლამო განცხადება, კითხვარი).

კონტექსტები:

კითხვის სფეროში PISA-ს დავალებები ოთხ ძირითად კონტექსტს მოიცავს:

- **პირადი კონტექსტი** აერთიანებს პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ ტექსტებს – მაგალითად, პირად წერილებს ან ლიტერატურულ ნაწარმოებს

- **საზოგადოებრივი კონტექსტი** დაკავშირებულია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან. მაგალითად, ამ ტიპის ტექსტებს წარმოადგენს ფორმალური დოკუმენტები ან ინფორმაცია საჯარო ღონისძიებების შესახებ;

- **სამეცნიერო კონტექსტი,** ჩვეულებრივ, სწავლებას უკავშირდება. ამ კატეგორიაში შემავალი ტექსტის მაგალითებია სახელმძღვანელოები ან სხვა სასწავლო მასალა;

- **სამუშაო / პროფესიული კონტექსტი** დაკავშირებულია პროფესიულ საქმიანობასთან ან კონკრეტული ამოცანის შესრულებასთან. ასეთი ტექსტია, მაგალითად, განცხადება ვაკანსიის შესახებ.